ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 149
(საქონლის შესყიდვა)

ქალაქი ფოთი ,,27" სექტემბერი 2019 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები
ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (შემდეგში ,,შემსყიდველი“), წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,პონტო კოლხი“ (შემდეგში „მიმწოდებელი“), მისი დირექტორის ზურაბ ხორავას სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება").

2. ხელშეკრულების საგანი
2.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება: სასმელი წყლის შესყიდვა (იხ.დანართი N1).
2.2 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა.
2.3 კლასიფიკატორის დანაყოფი: 15900000 – სასმელები, თამბაქო და მონათესავე პროდუქტები. კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 15981000 - მინერალური წყლები.

3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1000 (ერთიათასი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
3.2 სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

4. საქონლის მიწოდების ვადა, ფორმა და ადგილი
4.1. საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.
4.2 საქონლის მიწოდების ფორმა: მიმწოდებელი ვალდებულია საქონელი მოაწოდოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი წესების დაცვით, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
4.3 მომსახურების გაწევის ადგილი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების (გადარიცხვა) ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ლარი.
5.2 ანგარისწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესასაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) გამოწერისა და მოწოდებული საქონლის შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მიღება - ჩაბარების წესი
6.1 შემსყიდველის მხრიდან, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ, უფლებამოსილ პირს წარმოადგენს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რუსუდან ხარბედია, რომელიც ხელს აწერს ქალაქ ფოთის მუნციპალიტეტის სახელით დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელს აწერს განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
6.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა
7.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**
8.1.1 მოსაწოდებელი ან/და მოწოდებული საქონლის, ხარისხისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
8.1.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1.უზრუნველყოს მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.2.2 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

9.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.3.1 უზრუნველყოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
9.3.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
9.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
11.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით;
11.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) პირგასამტეხლო განისაზღვრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
11.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
11.5 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 3%-ის ოდენობით.
11.6 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ, საჯარიმო თანხის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
11.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.2 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის წერილობითი ურთიერთობა ხორციელდება, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, მხარეთა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი''

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი
მის: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N12
ს/კ N 215138143

,,მიმწოდებელი''

შპს ,,პონტო კოლხი"
მის: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N10
ს/კ 415087006
სს ,,საქართველოს ბანკი'' ფოთის ფილიალი
ა/ა GE54BG0000000292546600 ბ/კ BAGAGE22

Gocha Kurdgelia
Digitally signed by Gocha Kurdgelia
Date: 2019.09.27 10:14:28 +04'00'

Zurabi Khorava
Digitally signed by Zurabi Khorava
Date: 2019.09.27 11:08:46 +04'00'

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
გოჩა კურდღელია

დირექტორი
ზურაბ ხორავა

დანართი № 1

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სასმელი წყლის შესყიდვა

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარებში	საერთო ღირებულება ლარებში	მიწოდების ადგილი
1	ბუნებრივი სასმელი წყალი ,,სნო" (0,5 ლიტრი)	ცალი	2000	0,50	1000	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
	ჯამი:				**1000**	

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი „27" სექტემბერი 2019 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია ვადასტურებ, რომ შპს ,,პონტო კოლხი"-სთან“ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი **გოჩა კურდღელია**

Gocha Kurdgelia

Digitally signed by Gocha Kurdgelia
Date: 2019.09.27 10:15:42 +04'00'